

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკლესიის ისტორია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	თეოლოგიის დოქტორი
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები	<p>მოდული ა) მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ეკლესიის ისტორიისა და კანონიკური სამართლის კათედრის გამგე, თეოლოგიის დოქტორი, დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია</p> <p>მოდული ბ) საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე</p>
საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა კრედიტებში	სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი (ECTS)
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს განსაზღვრავს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ღვთისმეტყველების ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, რომლის შესაბამისად:</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</p> <p>მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის, თეოლოგიის ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა რომელიმე დარგში/ქვედარგში/კულტურის კვლევებში / რეგიონმცოდნეობაში / განათლების მეცნიერებებში;</p>

	<p>1.დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ–ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული, ახალი ბერძნული, ფრანგული, იტალიური) ან რუსული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა);</p> <p>2.სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის (შესაბამისი ქვედარგის ხელმძღვანელის) თანხმობა;</p> <p>3.გასაუბრების შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.</p> <p>(დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს სხვა ქვეყნის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს (საქართველოს «უმადლესი განათლების შესახებ» კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).</p> <p>დოქტორანტურის კანდიდატი, რომელსაც ეკლესიის ისტორიის პროგრამით სურს სწავლა, მაგრამ ქართული მისი დედაენა არ არის, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს).</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p> <p>სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:</p>	<p>პროგრამის მიზანია</p> <p>თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოამზადოს ღრმა თეორიული ცოდნის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიასა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში, რომელთაც შეეძლებათ კრიტიკულად გაანალიზონ და განაზოგადონ საკვლევნი წყაროთმცოდნეობითი მასალა. გააღრმავონ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში შექმნილი ცოდნა.</p> <p>ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამა საშუალებას იძლევა მომზადდეს თეოლოგი, მკვლევარი-ანალიტიკოსი, რომელსაც ექნება თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები თეოლოგიის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად. პროგრამის თემატიკა დოქტორანტს საშუალებას აძლევს, მიიღოს თეორიული ცოდნა, განავითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი კონკრეტული ისტორიული პროცესების გათვალისწინებით.</p> <p>მას ექნება კონკრეტული, ფართო და დეტალური ცოდნა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს, მახლობელი აღმოსავლეთისა და საქართველოს, ძველი, შუა საუკუნეების და თანამედროვე ეკლესიის ისტორიის, საეკლესიო მწერლობის, საეკლესიო სამართლის შესახებ.</p> <p>მას ეცოდინება როგორც რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინება, ასევე კვლევისას ჰუმანიტარული მეცნიერებათა სხვადასხვა დისციპლინის (ისტორია, ფილოლოგია, ლიტერატურული კრიტიკა, ენის და ხელოვნების ისტორია, პალეოგრაფია, ანთროპოლოგია,</p>

	<p>ფილოსოფია, სამართალი და ა. შ.) სათანადოდ გამოყენება.</p> <p>სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის, უპირველესად კი საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული უმაღლესი სასულიერო სასწავლებლებისათვის მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება. ლექტორის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, დოქტორანტურის გეგმაში სემინარულ მუშაობასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით რეფერატების მომზადებას, სხვათა მოსაზრებების კრიტიკულ ანალიზსა და აუდიტორიისადმი წარდგენის მეთოდოლოგიას. დოქტორანტი ვალდებულია, ხელმძღვანელს დაწვრილებით წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს შედეგები რეფერატის, მოხსენებებისა და სტატიების სახით. სწავლების პროცესში დოქტორანტს თავდაპირველად მიეცემა საშუალება მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი ცოდნა, დამოუკიდებელი აზროვნებისა და ანალიზის უნარი. შემდეგ ხელმძღვანელი ოპონენტის როლშიც წარმოგვიდგება: მისი მუშაობა დოქტორანტთან გაგრძელდება აქტიური დისკუსიის ფორმატით.</p> <p>სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა სამი წელია. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულება გულისხმობს 180 კრედიტის დაგროვებას (60 – სასწავლო კომპონენტი; 120 – კვლევითი კომპონენტი). 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს.</p>
--	--

<p>ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამის მიზანი</p>	<p>სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამის უპირველესი მიზანია საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული უმაღლესი სასწავლებლებისათვის მაღალკვალიფიკაციური პედაგოგიური კადრების მომზადება. გარდა ამისა, თეოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონე პირს ეკლესიის ისტორიის სპეციალობით უფლება ეძლევა თავისი სპეციალობით ლექციების კურსი წაიყვანოს სხვადასხვა ტიპის (კერძო თუ სახელმწიფო) უმაღლეს სასწავლებლებში. პედაგოგიური კადრების ჩამოყალიბების მიზნით პროგრამაში დიდი ადგილი ეთმობა პედაგოგისათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სპეციალობიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის რეფერატებისა და სემინარების მომზადება. დოქტორანტი ვალდებულია, ხელმძღვანელს დაწვრილებით წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს შედეგები. დოქტორანტს ყოველგვარი პირობა ექმნება, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი ცოდნა, დამოუკიდებელი აზროვნებისა და ანალიზის უნარი.</p> <p>სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულება გულისხმობს 180 კრედიტის დაგროვებას (60 სასწავლო კომპონენტი, 120 კვლევითი კომპონენტი). 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს.</p> <p>დოქტორანტურაში მიღებული თეორიული ცოდნა და წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომი შექმნის იმის პირობას, რომ მომზადდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიასა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში. დოქტორანტებს საგანმანათლებლო პროგრამით</p>
--	---

	<p>გათვალისწინებული საგნის დაუფლებით შეეძლება, კრიტიკულად გაანალიზონ საკვლევი პრობლემატიკა.</p> <p>ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამა საშუალებას გვაძლევს, მომზადდეს მაღალკვალიფიცირებული თეოლოგი-მკვლევარი, რომელიც დაუფლებული იქნება თანამედროვე კვლევის მეთოდებს. აღნიშნული მეთოდების გამოყენება დოქტორანტურის კურსდამთავრებულს და შესაბამისი თეოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონე მკვლევარს საშუალებას მისცემს, თეოლოგიური საკითხების კვლევა თანამედროვე სტანდარტების დონეზე წარმართოს.</p> <p>პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, სამეცნიერო წოდების მინიჭების შემდეგ მას ექნება ფართო ცოდნა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს, ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს, ძველი, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ეკლესიის ისტორიის, საეკლესიო მწერლობის, საეკლესიო სამართლის შესახებ.</p> <p>პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, მას შეეძლება თავისი სპეციალობის გარდა სათანადოდ გამოიყენოს ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგის (ისტორია, ფილოლოგია, ხელოვნების ისტორია, ფილოსოფია, სამართალი, ტექსტოლოგია) მიღწევები.</p>
--	---

<p>საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები და კომპეტენციები (დარგობრივი და ზოგადი)</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად მკვლევარი დაეუფლება თეოლოგიაში, სახელდობრ ეკლესიის ისტორიაში საფუძვლიან და სისტემურ ცოდნას, მისი განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, მის ძირითად და ახალ კონცეფციებს. მას ათვისებული ექნება საგნის კვლევითი მეთოდები. ის შესძლებს აღნიშნული მიმართულებით თავისი ცოდნისა და სამეცნიერო-კვლევითი მეთოდების გამოყენებას აკადემიურ აუდიტორიასა და ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობებისას, ზეპირად თუ წერილობით.</p> <p>დოქტორანტურაში სწავლის შედეგად კურსდამთავრებული დამოუკიდებლად მოახერხებს საისტორიო წყაროების, რელიგიური ტექსტების, ასევე, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებასა და გააზრებას. თავისი კვლევის შედეგების გადმოცემასა და სამეცნიერო პრობლემების მიმოხილვას ის შესძლებს რეფერირებადი საერთაშორისო პუბლიკაციებისათვის საჭირო სტანდარტების დონეზე.</p> <p>კურსდამთავრებული შეიძენს ფართო, ღრმა და სისტემურ ცოდნას მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე როგორც ეკლესიის ისტორიაში, ისე საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. იგი მოახერხებს თავისი სამეცნიერო საქმიანობის წარმართვას საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, სამეცნიერო საკითხების ობიექტურად და ახლებურად შესწავლას.</p> <p>დოქტორანტი განვითარებს პედაგოგიურ უნარ-ჩვევებს, შესძლებს საკუთარი კვლევის შედეგების, მოსაზრებების მკაფიოდ და გასაგებად წარმოჩენას, სამეცნიერო-პრობლემური საკითხების განხილვას აუდიტორიის წინაშე, სტუდენტებთან სალექციო მუშაობას, რისთვისაც გამოიყენებს სათანადო ტექნიკურ საშუალებებს.</p>
--	--

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ექნება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების, სამეცნიერო წყაროების დამუშავების უნარი; ასევე, კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, თანამედროვე და კომპლექსური კვლევების უნარ-ჩვევები. მას შეეძლება თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი მეთოდების გამოყენება, რაც საკითხის ახლებურად გადაჭრისა და ახალი ცოდნის შექმნის საშუალებას მისცემს მას; სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება ახალი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირება და კვლევის წარმოება ქართული და დასავლური მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით.

დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეეძლება, შექმნას სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი, მონოგრაფიები, სამეცნიერო პუბლიკაციები, რეცენზიები და ა. შ., ხოლო შეძენილი ცოდნა და კვლევითი უნარ-ჩვევები გამოიყენოს სამეცნიერო-კვლევით და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მოღვაწეობისას. ის მოახერხებს წარმატებულ სამეცნიერო თანამშრომლობას მომიჯნავე ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლებთან. მას შეძენილი ცოდნა და კვლევითი უნარ-ჩვევები მისცემს საშუალებას, გაანალიზოს, კრიტიკულად შეაფასოს როგორც საკუთარი, ისე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები, კომენტარები გაუკეთოს და განაზოგადოს ისინი. კურსდამთავრებულს შეუძლია ცოდნის შექმნა და სხვისთვის გადაცემა, ობიექტური მიდგომითა და ახლებური ხედვით გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ ელექტრონული სწავლების საფუძვლების, მეთოდოლოგიის, ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის ათვისება კვლევისა და სწავლების პროცესში.

დოქტორანტურის კურსდამთავრებული შესძლებს თავისი კვლევის შედეგების პრეზენტაციასა და სხვა მეცნიერთა კვლევის შეფასებას სამეცნიერო, აკადემიურ და ფართო აუდიტორიასთან, სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პროექტების შემუშავებას ან დახვეწას სამეცნიერო საქმიანობის ხელისშემწყობ ფონდებთან, შესაძლო პარტნიორებთან ან დონორებთან წარსადგენად. საგანმანათლებლო საქმიანობისას ის მოახერხებს სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმი) შემუშავებას მათი ბოლონის პროცესის, ევროპული სტანდარტების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით, სწავლების ინტერაქტიური მეთოდების წარმატებით გამოყენებას. იგი დაეუფლება უმაღლეს სასწავლებლის სწავლების მეთოდების საფუძვლებს, გაცნობიერებული ექნება მისი მიზნები და შედეგები. მას შეეძლება სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი პროგრამებისა და პროექტების შედგენა.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება ღრმა ანალიზისა და სინთეზური კვლევის უნარი, თეოლოგიურ და ისტორიულ პრობლემათა დიაქრონულ ჭრილში

გააზრებისა და ახალი დასკვნებისა და ხედვების წამოყენების უნარი. ზოგადი ეკლესიის ისტორიისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის კურსის შესწავლით დოქტორანტები გაიცნობიერებენ ობიექტური ისტორიული კანონზომიერების არსს, განუვითარდებათ რწმენა, უნარი იმისა, რომ მათ შეუძლიათ ისტორიული პროცესების გაანალიზება, მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი დახასიათება, ისტორიული მოვლენებისა და პროცესების ტიპოლოგია, მათი გადაჭრის გზების მოძიების შესაძლებლობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ გამოყენების უნარი. მათ შეეძლებათ, ეკლესიის ისტორიული კუთხით განიხილონ წარსულში მომხდარი თუ თანამედროვე მოვლენები და პროცესები, გაანალიზონ და მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით შეაფასონ ისინი. კურსის შესწავლა დოქტორანტებს შეუქმნის საზოგადოების განვითარების ტენდენციისა და პერსპექტივის პროგნოზირების აუცილებელ მეცნიერულ ბაზას.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული შეიძენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხო ენებზე კომუნიკაციის უნარს, შესძლებს თავისი კვლევის შედეგების, თავისი მოსაზრებების წარდგენას დასაბუთებულად და გასაგებად, სხვა ავტორთა სამეცნიერო ნაშრომების შეფასებებს ობიექტურად და კორექტულად სხვადასხვა კატეგორიის აუდიტორიის წინაშე. მას წერისა და მეტყველების დროს შეეძლება ადეკვატური ლექსიკისა და ენობრივი სტილის გამოყენება.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებული მიიღებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რაც მას ხელს შეუწყობს, შეისწავლოს და შეიმეცნოს ახალი იდეები, მზად იყოს არა მარტო სხვის მიერ შექმნილი ცოდნის მისაღებად, არამედ ახალი ცოდნის შესაქმნელადაც. იგი შესძლებს, წარმატებით აითვისოს კვლევის უახლესი მეთოდები; შესძლებს, დამოუკიდებლად დაგეგმოს და მართოს სწავლისა და საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესი.

კურსდამთავრებულს შეეძლება ეკლესიის ისტორიისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, ასევე მათ მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებში მიღებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგების პროფესიული კომენტირება და განზოგადება.

დოქტორი შესძლებს:

- იკვლიოს ზოგადი ეკლესიისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცალკეული საკითხები;
- შეისწავლოს ნებისმიერი ეპოქის წყაროთმცოდნეობითი ძეგლი;
- დაწეროს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო ნაშრომები;
- ეფექტურად გამოიყენოს თავისი ცოდნა და დამატებითი რესურსები, რათა დამოუკიდებლად დაგეგმოს თავისი თუ სხვათა კვლევები;
- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მოამზადოს ბიბლიოგრაფია და მონაცემთა ბაზა (სამიუნივერსიტეტო და ინდექსებით);

	<ul style="list-style-type: none"> • წარმატებით წარადგინოს თავისი ცოდნა საზოგადოების წინაშე და სხვა. <p>ღირებულებები</p> <p>სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული თავისი სწავლისა და კვლევის პერიოდში შექმნილი სადისერტაციო ნაშრომით დიდ სამსახურს გაუწევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებსა და სტუდენტებს. კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება სალექციო კურსებისა და შესატყვისი მიმართულებით კვლევის გადრმავეებისათვის.</p> <p>დოქტორანტურის კურსდამთავრებული თავისი სამეცნიერო-საზოგადოებრივი საქმიანობით – კვლევითა და სამეცნიერო ნაშრომების შექმნა-გამოქვეყნებით, სასწავლო საქმიანობით, ფართო აუდიტორიასთან შემეცნებითი საუბრებით ხელს შეუწყობს ქრისტიანული ღირებულებების, ზოგადი ეკლესიისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის საგნების ირგვლივ მეცნიერული ცოდნისა და მიდგომების გავრცელებას საზოგადოებაში, პატრიოტული შეგნების ამაღლებას მოზარდ თაობებში.</p>
--	--

<p>დასაქმების სფერო</p>	<p>დოქტორანტურის კურსდამთავრებულის მუშაობის უპირველესი და უმთავრესი სფეროა საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული უმაღლესი სასწავლებლები, აგრეთვე სასულიერო აკადემიები და სემინარიები, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო ცენტრები. უმაღლეს სასწავლებლებში, ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში, მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის სალექციო კურსების წაყვანა. ასევე შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს თეოლოგიისა და ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკით დაინტერესებულ სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, არქივებში, მუზეუმებში და ა.შ.</p> <p>სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სასწავლო კათედრები; აკადემიისა და საპატრიარქოს ბიბლიოთეკები და სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიები.</p>
--------------------------------	---

სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

#	სადოქტორო პროგრამა ეკლესიის ისტორია	საგნის სტატუსი	კრედიტების განაწილება სემესტრებში						
	საგნების დასახელება		I	II	III	IV	V	VI	
1.	ეკლესიის ისტორია I-XV საუკუნემდე	სავალდ.	✓	✓					
2.	ადგილობრივი ეკლესიების ისტორია	სავალდ.			✓				
3.	პატროლოგია	სავალდ.			✓				
4.	ასკეტიკა	სავალდ.	✓	✓					
5.	საეკლესიო სამართალი	სავალდ.		✓	✓				
6.	დოქტორანტის სემინარი	სავალდ.		✓					
7.	პროფესორის ასისტენტობა	სავალდ.						✓	
	არჩევითი საგნები								
8.	ძველი ბერძნული ენა	არჩევით	✓						
9.	ლათინური ენა	არჩევით	✓						
	კვლევითი კომპონენტი								
#	სადოქტორო პროგრამა ეკლესიის ისტორია	კრედიტების განაწილება სემესტრებში							
	საგნების დასახელება		I	II	III	IV	V	VI	
1.	საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (I-XVIII saukuneebi)	✓							

2.	საქართველოს სამოციქულო ეკლესია XVIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედი – XX ს-ის პირველი ოცეული (1770-1917წწ.)		✓				
3.	საქართველოს სამოციქულო ეკლესია XX-XXI სს. (1917-2014წწ.)			✓			
4.	საეკლესიო სამართალი (ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კანონიკური საფუძვლები)		✓				
5.	ეკლესიის ისტორია			✓			
6.	საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან დღემდე	✓					
7.	დოქტორანტის სემინარი		✓				
8.	პროფესორის ასისტენტობა					✓	
9.	ძველი ბერძნული ენა		✓	✓			
10.	საეკლესიო სლავური ენა		✓	✓			
11.	ძველი ქართული საისტორიო მწერლობა	✓					
12.	ისლამი თანამედროვე მსოფლიოში	✓					

11. 2. სასწავლო კომპონენტის აღწერა:

პროგრამაში გამოყოფილი მოდულები თანაბრად მოიცავს სასწავლო კომპონენტს (60 კრედიტი):

1. საგნობრივი კურსები
2. პროფესორის ასისტენტობა
3. დოქტორანტის სემინარი

კვლევითი კომპონენტის აღწერა:

აქტივობის სახე
საწყისი ეტაპი: სადოქტორო თემის შერჩევა და გეგმის შედგენა. ბიბლიოგრაფიის შედგენა
საწყისი ეტაპი: ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილ ნაშრომთა შესწავლა-ანალიზი

დისერტაციის მომზადების I ეტაპი
დისერტაციის მომზადების II ეტაპი
დისერტაციის მომზადების III ეტაპი
კოლოქვიუმი* (2)
სადისერტაციო ნაშრომის დახვეწა და დაცვა

ცოდნის საბოლოო შეფასების სქემა:

<p>დოქტორანტის ცოდნის შეფასება. შეფასების ფორმა. შეფასების მეთოდი</p>	<ul style="list-style-type: none"> - ლექციაზე აქტიურობის შეფასება; - დამუშავებული ლიტერატურის სისრულის, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარის შეფასება პრაქტიკუმზე; - წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის შეფასება პრაქტიკუმისა და გამოცდების დროს; - სალექციო თემების ათვისების უნარის შეფასება შუალედური გამოცდების დროს; - ცოდნის სინთეზისა და იდეების კონსტრუირების უნარის შეფასება ფინალური გამოცდის დროს.
--	---

<p>დოქტორანტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები</p>	<p>სასწავლო კურსების ცოდნის შეფასება ხორციელდება 100 - ქულიანი სისტემით და შემდეგი პრინციპებით.</p>	<p>ხვედრითი წილი</p>
	<p>1. აქტიურობა პრაქტიკული მეცადინეობების დროს შემოწმდება: აღქმის უნარი, სალექციო თემის დამუშავების სისრულე, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, დისკუსიის უნარი და სხვ.</p>	<p>0-20ქულა</p>
	<p>2. I შუალედური პირველი შუალედური შეფასება ტარდება წერითი ფორმით მე-6 კვირაში; ფასდება I-V საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების დონე, დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა</p>	<p>0-25 ქულა</p>
	<p>3. II შუალედური მეორე შუალედური შეფასებაც ტარდება წერითი ფორმით მე-11 კვირაში; ფასდება VI-X საკითხების</p>	<p>0-25 ქულა</p>

	<p>ცოდნისა და გაცნობიერების დონე, დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა</p>	
	<p>4. დასკვნითი გამოცდა: 0 - 30 ქულა. დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი ფორმით სემესტრის დასრულების შემდეგ. ფასდება ყველა ძირითადი სალექციო საკითხის ცოდნისა და გაცნობიერების დონე. დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა. დასკვნით გამოცდაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ცოდნის სინთეზისა და ახალი იდეების კონსტრუირების უნარს.</p>	<p>0-30ქულა</p>
<p>დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.</p>		

ქულების რაოდენობა	ნიშანი	შეფასება	დოქტორანტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები
91-100	A	ფრიადი	სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა ზედმიწევნით არის შესრულებული. სტუდენტი ავლენს საგნის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი.
81-90	B	ძალიან კარგი	სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა კარგად არის შესრულებული (მცირე ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს.
71-80	C	კარგი	სასწავლო კურსის კომპონენტების მოთხოვნები ძირითადად შესრულებულია. სტუდენტი ავლენს საგნის საკმაოდ კარგ ცოდნას, უმნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.
61-70	D	დამაკმაყოფილებელი	სასწავლო კურსის მოთხოვნების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია (მნიშვნელოვანი ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის საშუალო დონის ცოდნას. შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებელი მსჯელობისას.
51-60	E	საკმარისი	სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია

			მინიმალურად. სტუდენტი ავლენს საგნის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობას.
41-50	FX	ვერ ჩააბარა	სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ვერ ავლენს საგნის თეორიულ ცოდნას. პრაქტიკულად ვერ მსჯელობს საგნის საკითხების შესახებ.
0-40	F	ჩაიჭრა	მიუხედავად გამოცდაზე დაშვებისა (დაგროვილი აქვს არანაკლებ 21 ქულა), სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო პროგრამა.

დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუკი დოქტორანტი გამოცდაზე მიიღებს გამოცდის მაქსიმალური ქულის ნახევარზე მეტს.

დოქტორანტის სემინარი

დოქტორანტის სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, შუალედური შეფასების (მაქსიმუმ 60) და დასკვნითი შეფასების (მაქსიმუმ 40) ქულების ჯამით.

№	შესაფასებელი კომპონენტები
1	საჭირო ინფორმაციაზე წვდომა. მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა
2	სემინარის თემის შესაბამისობა დარგის პრობლემატიკასთან. მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა
3	ჩატარებული კვლევის ხარისხი. მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა
4	ინფორმაციის ანალიზი და დასკვნები. მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა
5	სემინარის თემის აქტუალობა. მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა
6	მასალის ინფორმატიულობა, ანალიზი. მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა
7	კვლევის დასკვნები და შედეგები. მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა
8	თემის წარდგენის უნარი. მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა

დოქტორანტის ხელმძღვანელი ახორციელებს სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შუალედურ შეფასებას, დასკვნითი შეფასების მიზნით კი დოქტორანტის ნაშრომს აფასებს არანაკლებ 3 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ქმნის შესაბამისი კათედრები. დასკვნით შეფასებაზე

ნაშრომი დაიშვება, თუ მისი შუალედური შეფასება იქნება 11 ქულა ან მეტი. სემინარზე დასკვნითი ქულა განისაზღვრება კომისიის ყველა წევრის მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით.

სემინარის უარყოფითი "FX" შეფასების შემთხვევაში (41-50 ქულა), დოქტორანტს ეძლევა უფლება იმავე სემესტრში განმეორებით წარადგინოს ნაშრომი დასკვნით შეფასებაზე. ძირითად და განმეორებით შეფასებას შორის არ უნდა იყოს 10 დღეზე ნაკლები.

სემინარის უარყოფითი "F" შეფასების შემთხვევაში (40 ქულა და ნაკლები), დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად.

შენიშვნა: კომპონენტების შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით.

პროფესორის ასისტენტობა

პროფესორის ასისტენტობის ფორმატით დოქტორანტის მიერ ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობისა და ჯგუფური სამუშაოს/დისკუსია - სემინარისა და პრეზენტაციის შემდეგ/ შეფასება;

№	შესაფასებელი კომპონენტები
1	პრაქტიკული/ლაბორატორიული/სემინარული მეცადინეობის ჩატარება/ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში/;
2	სტუდენტთა ჯგუფური მუშაობის ორგანიზება /ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში/;
3	ზოგიერთი სალექციო თემისათვის პრაქტიკული/ ლაბორატორიული/ სასემინარო/ სადემონსტრაციო მასალების მომზადება;
4	სტუდენტთა დისკუსიის ორგანიზება სემინარის დროს/ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში;
5	პროფესორის ხელმძღვანელობით შუალედური და დასკვნითი გამოცდისათვის საკითხების/ტესტების მომზადება;
6	სტუდენტთა ნაშრომების (საშუალო და დასკვნითი გამოცდების) გასწორება;
7	ელექტრონული სასწავლო კურსებისთვის მასალების მომზადება;
8	ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის დახმარების გაწევა/კონსულტირება.

პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ.

უარყოფითი შეფასების "Fx" შემთხვევაში (41-50 ქულა), დოქტორანტს ეძლევა დამატებითი დავალებები და ფასდება იმავე სემესტრში არანაკლებ 10 დღის შემდეგ.

უარყოფითი შეფასების "F" შემთხვევაში (40 ქულა და ნაკლები), ასისტენტობის კურსის გავლა უნდა მოხდეს მომდევნო სემესტრში.

შენიშვნა: თითოეული პუნქტი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით; დადებითად ითვლება შეფასება არანაკლებ 51 ქულისა. საბოლოო ქულის დაანგარიშება ხდება კრედიტების რაოდენობის გათვალისწინებითა და შეწონილი საშუალოს გამოყვანით.

დოქტორანტის კოლოკვიუმი

დოქტორანტის კოლოკვიუმის შეფასება ხორციელდება კათედრაზე შექმნილი, არანაკლებ 5 წევრისაგან შემდგარი დარგობრივი კომისიის მიერ, რომლის დამტკიცება ხდება კათედრის სხდომაზე. დოქტორანტის კოლოკვიუმი წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით. კათედრის სხდომის ოქმში ასახული უნდა იყოს დოქტორანტის ნაშრომის შეფასება დადებითად ან უარყოფითად.

უარყოფითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს განმეორებით გაიტანოს ნაშრომი დარგობრივი კომისიის სხდომაზე. ძირითად და განმეორებით შეფასებას შორის არ უნდა იყოს 10 დღეზე ნაკლები.

<p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები</p>	<p>პროგრამის განსახორციელებლად დოქტორანტებს შეეძლებათ ისარგებლონ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლიოთეკით.</p> <p>პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, ლექციებისა და კონსულტაციებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებისათვის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიას აქვს საჭირო ფართი.</p>
<p>პროგრამის განხორციელების ისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები</p>	<p>მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიას გააჩნია საჭირო ადამიანური რესურსები _ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პედაგოგიური პერსონალი (მეცნიერ-მკვლევარები), რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი სპეციალური განათლება და პროფესიული გამოცდილება.</p>

<p>სწავლების მეთოდები</p>	<p>სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. გამოყენებული იქნება სწავლების ისეთი მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბებას: ლექცია, სემინარები, პრაქტიკული სამუშაოები, კოლოკვიუმები, დისკუსიები და დებატები, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი და სწავლების და საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩართვა.</p> <p>დოქტორანტის წინაშე დასახული რთული პრობლემების გადაჭრა კვლევის ერთი რომელიმე, ცალკე აღებული მეთოდის გამოყენებით შეუძლებელი იქნება. ამიტომ კვლევის პროცესში დოქტორანტი გამოიყენებს თანამედროვე მეთოდების ერთობლიობას.</p>
----------------------------------	--

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება მიიღება, როგორც ექსპერტთა საბოლოო შეფასების (მაქსიმუმ 20 ქულა), რეცენზენტთა საბოლოო შეფასებისა (მაქსიმუმ 40 ქულა) და სადისერტაციო კომისიის შეფასების (მაქსიმუმ 40 ქულა) ქულათა ჯამით. საბოლოო შეფასების მაქსიმალური ქულაა 100.

დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი (*summa cum laude*) შესანიშნავი ნაშრომი (91-100) ქულა;
- (B) ძალიან კარგი (*magna cum laude*) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81-90 ქულა);
- (C) კარგი (*cum laude*) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80 ქულა);
- (D) საშუალო (*bene*) საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს (61-70 ქულა);
- (E) დამაკმაყოფილებელი (*rite*) შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60 ქულა);

უარყოფითი შეფასება:

- (FX) არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო (41-50 ქულა);
- (F) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს (0-40 ქულა).

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ სადისერტაციო კოლეგიის წევრთა უმრავლესობა მას „არადამაკმაყოფილებლად“ (41-50 ქულა - *insufficient*) ან „სრულიად არადამაკმაყოფილებლად“ (40 ქულა და ნაკლები - *sub omni canone*) აფასებს.

არადამაკმაყოფილებელი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ. არადამაკმაყოფილებელი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების (F) მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სემესტრების მანძილზე პროგრამით გათვალისწინებულ საგნებზე კრედიტებისა და საათების განაწილება
 ეკლესიის ისტორია, მოდული ა) მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია

№	სასწავლო კურსების დასახელება	საათები	საკონტაქტო საათები					სულ	დამოუკიდებელი საათები
			ლექცია	სემინარი	I და II შუალედური	დასკვნითი გამოცდა	სულ		
1	ეკლესიის ისტორია I-XV საუკუნემდე	250	30	48	8	4	90	160	
2	ადგილობრივი ეკლესიების ისტორია	125	15	24	4	2	45	80	
3	პატროლოგია	125	15	24	4	2	45	80	
4	ასკეტიკა	250	30	48	8	4	90	160	
5	საეკლესიო სამართალი	250	30	48	8	4	90	160	
6	დოქტორანტის სემინარი	250							
7	პროფესორის ასისტენტობა	125							
	არჩევითი კურსები								
8	ძველი ბერძნული ენა	125	15	24	4	2	45	80	
9	ლათინური ენა	125	15	24	4	2	45	80	
	სულ სასწავლო კრედიტების რაოდენობა								
	კვლევითი კომპონენტი								

№	კვლევითი კომპონენტები, სხვა აქტივობები	საათები	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
1.	საწყისი ეტაპი: სადოქტორო თემის შერჩევა და გეგმის შედგენა. ბიბლიოგრაფიის შედგენა	125	10	115
2.	საწყისი ეტაპი: ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილ ნაშრომთა შესწავლა-ანალიზი	250	10	240
3.	დისერტაციის მომზადების I ეტაპი	500	10	490
4.	დისერტაციის მომზადების II ეტაპი	625	15	610
5.	დისერტაციის მომზადების III ეტაპი	500	10	490
6.	კოლოკვიუმი 1	250	10	240
7.	კოლოკვიუმი 2	250	10	240
8.	სადისერტაციო ნაშრომის დახვეწა და დაცვა	500	10	490

სწავლის შედეგების რუკა

სახელწოდება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულ ე-ბები
ეკლესიის ისტორია I-XV საუკუნემდე	✓	✓				
ადგილობრივი ეკლესიების ისტორია	✓				✓	
პატროლოგია	✓					✓
ასკეტიკა		✓	✓			
საეკლესიო სამართალი	✓	✓	✓	✓	✓	✓
ძველი ბერძნული ენა						
ლათინური ენა						

ადამიანური რესურსის განაწილება საგნების მიხედვით

თეიმურაზ ბუაძე

ეკლესიის ისტორია I-XV საუკუნემდე

დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია

ადგილობრივი ეკლესიების ისტორია

ედიშერ ჭელიძე

პატროლოგია

დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია

ასკეტიკა

გიორგი ანდრიაძე

საეკლესიო სამართალი

თამარ აფციაური

ძველი ბერძნული ენა

ვიქტორია ჯულელი

ლათინური ენა

სემესტრების მანძილზე პროგრამით გათვალისწინებულ საგნებზე კრედიტებისა და საათების განაწილება
 ეკლესიის ისტორია, მოდული ბ) საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

№	სასწავლო კურსების დასახელება	საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია	სემინარი	I და II შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ		
1	საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (I-XVIII saukuneebi)	125	15	24	4	2	45	80
2	საქართველოს სამოციქულო ეკლესია XVIII ს–ის უკანასკნელი მეოთხედი – XX ს–ის პირველი ოცეული (1770-1917წწ.)	125	15	24	4	2	45	80
3	საქართველოს სამოციქულო ეკლესია XX-XXI სს. (1917-2014წწ.)	125	15	24	4	2	45	80
4	საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან	125	15	24	4	2	45	80

	დღემდე							
5	ეკლესიის ისტორია	125	15	24	4	2	45	80
6	საეკლესიო სამართალი (ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კანონიკური საფუძვლები)	125	15	24	4	2	45	80
7	დოქტორანტის სემინარი	250						
8	პროფესორის ასისტენტობა	125						
	არჩევითი სასწავლო კურსები							
9	ძველი ბერძნული ენა I	125	15	24	4	2	45	80
10	ძველი ბერძნული ენა II	125	15	24	4	2	45	80
11	საეკლესიო სლავური ენა I	125	15	24	4	2	45	80
12	საეკლესიო სლავური ენა II	125	15	24	4	2	45	80
13	ძველი ქართული საისტორიო მწერლობა	125	15	24	4	2	45	80
14	ისლამი თანამედროვე მსოფლიოში	125	15	24	4	2	45	80

№	კვლევითი კომპონენტები, სხვა აქტივობები	საათები	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
1.	საწყისი ეტაპი: სადოქტორო თემის შერჩევა და გეგმის შედგენა. ბიბლიოგრაფიის შედგენა	125	10	115
2.	საწყისი ეტაპი: ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილ ნაშრომთა შესწავლა-ანალიზი	250	10	240
3.	დისერტაციის მომზადების I ეტაპი	500	10	490
4.	დისერტაციის მომზადების II ეტაპი	625	15	610
5.	დისერტაციის მომზადების III ეტაპი	500	10	490
6.	კოლოკვიუმი 1	250	10	240
7.	კოლოკვიუმი 2	250	10	240
8.	სადისერტაციო ნაშრომის დახვეწა და დაცვა	500	10	490

სწავლის შედეგების რუკა

სახელწოდება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (I-XVIII saukuneebi)	✓		✓	✓	✓	
საქართველოს სამოციქულო ეკლესია XVIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედი – XX ს-ის პირველი ოცეული (1770-1917წწ.)		✓	✓		✓	
საქართველოს სამოციქულო ეკლესია XX-XXI სს. (1917-2014წწ.)	✓				✓	✓
საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან დღემდე	✓				✓	✓
ეკლესიის ისტორია						
ძველი ქართული საისტორიო მწერლობა	✓	✓	✓	✓	✓	✓
ძველი ბერძნული ენა	✓	✓	✓			
საეკლესიო სლავური ენა	✓	✓	✓	✓	✓	

საეკლესიო სამართალი (ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კანონიკური საფუძვლები)	✓	✓	✓	✓	✓	✓
ისლამი თანამედროვე მსოფლიოში	✓	✓	✓	✓		

ადამიანური რესურსის განაწილება საგნების მიხედვით

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (I-XVIII saukuneebi)

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)

საქართველოს სამოციქულო ეკლესია XVIII ს–ის უკანასკნელი მეოთხედი – XX ს–ის პირველი ოცეული (1770-1917წწ.)

სერგო ვარდოსანიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესია XX-XXI სს. (1917-2014წწ.)

სერგო ვარდოსანიძე

საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან დღემდე

მღვდელი ალექსი ქუტაშვილი

ეკლესიის ისტორია

ელდარ ბუბულაშვილი

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა

ირინე კაპანაძე

საეკლესიო სლავური ენა

გიორგი ანდრიაძე

საეკლესიო სამართალი (ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კანონიკური საფუძვლები)

ეკა დულაშვილი
ძველი ბერძნული ენა

რუსუდან წიქვაძე

ისლამი თანამედროვე მსოფლიოში